



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04182

ქ. თბილისი

26 მარტი 2018

სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის განახლებული დებულების  
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსის, ზ. ცირამუას 2018 წლის 19 მარტის №01-09-33/965 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №4 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის განახლებული დებულება წარმოდგენილი რედაქციით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსი ზ. ცირამუა;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

*[Handwritten signature]*

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

*[Handwritten signature]*

გ. სალუქვაძე